Подписано цифровой подписью: LEPL Georgian state teaching university of physical education and sport
Дата: 2022.07.26 11:39:21 +04'00'

ხელშეკრულება № 145

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

26,07,.2022 წ.

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი რექტორის **ჯემალ ძაგანიას, ასევე ადმ. ხელმძღვანელის ვლადიმერ ბოჟაძის** სახით და **შპს "მერი პოპინსი"**შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თ. კაპანაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება’’ _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **ნაგვის პარკების** ხელმწიფო შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 19600000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა: 175.00 ლარი**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად. მიწოდების ვადა, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“-ს თანამშრმელი ლევან სიმონიშვილი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **5 (ხუთი)** დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის (არსებობის შემთხვევაში თანმდევი მონტაჟით) მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.3 საქონლის მიღებას აწარმოებს: სსიპ **„საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“-ს რექტორი ჯემალ ძაგანია და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვლადიმერ ბოჟაძე.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) **დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი**

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **10 (ათი)** დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.7%**-ის ოდენობით.

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, მის: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის ქ. # 49, ტელეფონი: 599-91-98-99, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. # GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22; სკ-205304357.	**შპს მერი პოპინსი** **ქ. თბილისი** **სს თიბისი ბანკი** **GE48TB 7657 6360 8010 0009** **ს/კ 405162960** **ტელ: 577385202**
_____	_____

2022 წლის 26 ივლისის №145 ხელშეკრულების დანართი №1

#	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	მთლიანი ღირებულება	cpv
1	ნაგვის პარკი 35 ლ თასმით	50	3,5	175	19640000

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“,
მის: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის ქ. # 49,
ტელეფონი: 599-91-98-99,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. # GE24NB0330100200165022;
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22;
სკ-205304357.

მიმწოდებელი

შპს მერი პოპინსი

ქ. თბილისი

სს თიბისი ბანკი

GE48TB 7657 6360 8010 0009
ს/კ 405162960
ტელ: 577385202